მულტიპლანეტარული ცივილიზაციის დასაწყისის მუზეუმი მარსზე

სანდრო სიამაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

1.2 განაცხადი:

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სანდრო სიამაშვილი

13/04/2025 წ.

1.3. აბსტრაქტი:

კოსმოსის ათვისების საკითხი დღესდღეობით გლობალური დაინტერესების საგანია. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, როგორც არქიტექტურული თვალსაზრისით, ისე მდგრადი განვითარების კუთხითაც. მარსის ტერაფორმირება და მულტიპლანეტარული ცივილიზაციების ჩამოყალიბება იწვევს საზოგადოების დიდ ინტერესს, როგორც სამეცნიერო კუთხით, ისე - ყოფითი თვალსაზრისით. იქიდან გამომდინარე, რომ დედამიწაზე არსებობს არამხოლოდ ბუნებრივი რესურსების ამოწურვის, კლიმატური ცვლილებების, სტიქიური კატასტროფების, ომების და თუნდაც დედამიწის გადატვირთვის დიდი რისკები, ყველაზე მოსახერხებელ პლანეტად და რეალისტურ პერსპექტივად ახალი ცივილიზაციების ჩამოყალიბებისთვის მარსი განიხილება. დღესდღეობით, მიმდინარეობს არაერთი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც იძლევა რეალური იმედების საფუძველს, რომ შესაძლებელია უახლოეს მომავალში ადამიანმა იმოგზაუროს სხვადასხვა პლანეტებზე. სწორედ ამითაა გამოწვეული ჩემი დაინტერესებაც აღნიშნული საკითხის კვლევით.

მარსის ათვისება არ უკავშირდება, მხოლოდ მფრინავ ხომალდებს, საცხოვრებელ ჰაბიტატებს და გადარჩენის პირობების შექმნას. იგი ამ ყველაფერთან ერთად, მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა კულტურა, იდენტობა, ისტორია, რომელიც ადამიანების ცხოვრების თანმდევია, და აუცილებლად მიჰყვება სადაც არ უნდა დაადგან ფეხი. წინამდებარე კვლევის მიზანია, გაანალიზოს მარსის ბუნებრივი არეალი, რელიეფი, ატმოსფერო და მარსზე განხორციელებული ექსპერიმენტები, თეორიული თუ პრაქტიკული კვლევები და ლიტერატურა, რომელიც დაგვეხმარება მულტიპლანეტარული ცივილიზაციის დასაწყისის მუზეუმის კონცეპტუალური არქიტექტურული პროექტის შექმნაში.

რატომ მუზეუმი? იქიდან გამომდინარე, რომ ახალი პლანეტის ათვისება გაცილებით მეტია, ვიდრე ტექნოლოგიური მიღწევა, ეს არის ერთგვარი ახალი დასაწყისი ადამიანების სახეობისთვის, რომელსაც სჭირდება ახალი ისტორიის დაწერა და მისი შენახვა, რასაც მუზეუმის საშუალებით მოვახდენთ. ამასთანავე, მარსზე მუზეუმის პროექტირება აჩენს საინტერესო გამოწვევებს. მაგალითად, როგორ შევქმნით გამორჩეულ დიზაინს ისეთ ექსტრემალურ გარემოში როგორიც მარსზეა და როგორ დავამყარებთ კავშირს არქიტექტურულ ფუნქციასა და დიზაინს შორის. აღნიშნული პროექტის მიზანია, არქიტექტურის საშუალებით დაიწეროს ახალი

მულტიპლანეტარული მოგზაურობების და ცივილიზაციების ისტორია ისეთ ადგილას, სადაც არაფერი არ არის ნაცნობი.

აქედან გამომდინარე, რომ შევაჯამოთ, სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მარსზე მდებარე მულტიპლანეტარული ცივილიზაციის დასაწყისის მუზეუმის კონცეპტუალურ პროექტს, რომლის მიზანია, მკაფიოდ განსაზღვროს რატომ არის საჭირო კოსმოსის ათვისება, მულტიპლანეტარული ცივილიზაციის ჩამოყალიბება და მარსზე არსებული გარემო-პირობების, ეკო-სისტემის, სიტუაციის, მომავალში დაგეგმილი ღონისძიებებისა და კონტექსტის მიხედვით შემოგვთავაზოს გეგმარებითი გარემო, ატმოსფერო, სადაც განთავსდება ადამიანების პირველი მულტიპლანეტარული მოგზაურობების შედეგად მოგროვებული ექსპონატები.

1.4. მადლობა:

სამაგისტრო ნაშრომის წერა და პროეტზე მუშაობა, საკმაოდ რთული, თუმცა საინტერესო პროცესი აღმოჩნდა, რომელშიც არაერთი ადამიანი მეხმარებოდა გზადაგზა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ალექსანდრე რამიშვილს, რომელიც სულ მზად იყო დასახმარებლად და მნიშვნელოვან ცოდნას და რჩევებს მაწვდიდა სრული მუშაობის პროცესში. ასევე უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს და მეგობრებს, ვინც მუდმივად გვერდში მედგა და ხელს მიწყობდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაშო. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს თანაკურსელებს და მეგობრებს: ნოდარ ჯაფარიძეს, მარიამ გონგლაძეს, ელენე ნემსაძესა და ანანო კვაჭანტირაძეს, რომლებიც მუდმივად მეხმარებოდნენ მუშაობის პროცესში და მიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებებს.